ყველაზე წიგნიერი

| | |
|---|---|
| სკოლის დასახელება | ა (ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა. ოზურგეთი. |
| მასწავლებელი | თეა ასიეშვილი |
| ნაწყვეტი წიგნიდან | „ძმები ლომგულები“. 1-ლი თავი. ასტრიდ ლინდგრენი. |
| სწავლების საფეხური/კლასი | საბაზო საფეხური. მე-7 კლასი. |
| მისაღწევი შედეგები | მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>ქართ.საბ.1. ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;<br>ქართ.საბ.5. ტექსტის ინტერპრეტირება პირად ან ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით;<br>ქართ.საბ.**9.**ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით.<br><br><u>ზოგადად: _ კითხვის მიმართ ინტერესისა და წიგნის სიყვარულის გაღვივება, უცნობი სიტუაციებისა და გრძნობების აღმოჩენის საშუალება...</u> |
| წინასწარი ცოდნა | იციან, როგორ აღმოაჩინონ ტექსტის ტიპობრივი მახასიათებლები, შეუძლიათ ჟანრობრივი (კერძოდ ფენტეზის) მახასიათებლების განსხვავება და ადეკვატურად გააზრება; იცნობენ ბავშვობის თემაზე შექმნილ ტექსტებს. |
| აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო) | სტრატეგია _ კითხვის შემდეგ. აქტივობების განხორციელების დრო _ 1-2 აქტივობა _ პირველი დღე, მე-3 აქტივობა _ მეორე დღე. |
| აქტივობა 1 | აქტივობის აღწერა / აქტივობის მიზანი<br>აქტივობა _ სიტყვებში ჩამალული ფარული ზრახვები_ მოსწავლეები დაიყოფიან წყვილებად და გადაიკითხავენ ეპიზოდებს. გამოარკვევენ, როგორ ვლინდება პერსონაჟის შინაგანი სამყარო მის სიტყვებში, ქმედებებში, მეტყველებაში, სხვა პერსონაჟებთან დამოკიდებულებაში<br>მიზანი _ ქვეტექსტური ინფორმაციის ამოცნობა . |

| | |
|---|---|
| აქტივობა 2 | აქტივობის აღწერა \| აქტივობის მიზანი<br>აქტივობა _ გმირის რუკის შექმნა ეპიზოდისა და სიტუაციის შესაბამისად.<br>მოსწავლეები ინდივიდუალურად შეავსებენ მოქმედი გმირის, კერძოდ ჯონათანის რუკას შემდეგი სქემის მიხედვით:<br>რას ფიქრობს -------------------<br>რას ამბობს ----------------------<br>რას აკეთებს --------------------<br><br>რას გრძნობს --------------------<br>გმირის მიზანი ------------------<br>მოქმედების შედეგი ---------------<br><br>აქტივობის მიზანი _ ფაქტობრივი ინფორმაციის ამოცნობა. |
| აქტივობა 3 | აქტივობის აღწერა \| აქტივობის მიზანი<br>აქტივობა _ სახალისო გრამატიკული თავსატეხი _ ჩვენ ვქმნით სიტყვებს. ვითვალისწინებთ მწერლის მიერ შეთხზული ქვეყნის, ნანგიალას სახელს და ამ წარმოსახვით ქვეყანაში ვარქმევთ უბნებს, ცხოველებს, ადამიანებს ჩვენ მიერ მოფიქრებულ სახელებს.<br><br>მიზანი _ ინტერპრეტირება, ენობრივი საშუალებების შესაბამისად გამოყენება. |

თვითშეფასების კითხვარის ნიმუში

| კრიტერიუმები | შევძელი | გამიჭირდა | ვერ შევძელი |
|---|---|---|---|
| 1.მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხების ამოცნობა. | | | |
| | დავალებები ცხადი იყო | ცოტა რამ ვერ გავიგე | გაუგებარი იყო |
| 2.დავალების მიზანთან შესაბამისობა | | | |
| 3.ჩემი აქტიურობა | | | |
| | ინტერესით ვიყავი ჩართული | ნაკლებად აქტიური ვიყავი | საერთოდ არ ვიყავი ჩართული |